



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030459244461118

№ 04-478/თ

07 / აგვისტო / 2018 წ.

„სსიპ–სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2018 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №04-738/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „სსიპ–სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2018 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 13 ოქტომბრის № 04-738/თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება – ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი N1 ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული რედაქციით.
2. სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – „სააგენტო“) ეკონომიკურმა დეპარტამენტმა (ლ. მამულაშვილი) უზრუნველყოს „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2018 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის“ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის ღონისძიებები, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2018 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის“ პროაქტიულად გამოქვეყნება, დადგენილი პირობებით.
4. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამვდასმულია
ელექტრონულად



მიხეილ დუნდუა